დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №14
2017 წლის 20 ივლისი

ქ. დმანისი

„დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 18 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ.ვ'' ქვეპუნქტის, „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20-ე მუხლის მე-4-ე პუნქტის თანახმად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 18 დეკემბრის №32 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 22/12/2015; 010250020.35.156.016226) და დადგენილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. დამტკიცდეს პროფესიული საჯარო მოხელეების და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობათა დასახელებები, მათი იერარქიულ რანგებში განაწილება და თანამდებობრივი სარგოები დანართი №1 შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე — **ლერი ბერუაშვილი**

დანართი №1

პოლიტიკური თანამდებობის პირები და მათი თანამდებობრივი სარგოები

№	თანამდებობათა დასახელება	თანამდებობრივი სარგო	საშტატო რიცხოვნობა
1	საკრებულოს თავმჯდომარე	2650	1
2	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1700	1
3	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	1350	5
4	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	1350	3

პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხა, რანგები და თანამდებობრივი სარგოები

№	თანამდებობათა დასახელება	რანგი	თანამდებობრივი სარგო	საშტატო რიცხოვნობა
1	აპარატის უფროსი	I	1300	1
2	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვასა და	III	700	1

	საქმისწარმოების საკითხებში			
3	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში	III	700	1

შრომითი ხელშეკრულებით დასაკავებელი პოზიციები და თანამდებობრივი სარგოები

№	შრომითი ხელშეკრულებით დასაკავებელი პოზიცია		თანამდებობრივი სარგო	საშტატო რიცხოვნობა
1	დამხმარე მოსამსახურე	ინტერნეტ-ტექნოლოგიების სპეციალისტი	500	1
2	დამხმარე მოსამსახურე	საკრებულოს თავმჯდომარის მდივან-რეფერენტი	500	1
3	დამხმარე მოსამსახურე	საკრებულოს თავმჯდომარის მძღოლი	600	1